

## XVII საუკუნის დასაწყისის ერთი ფრანგული ცნობა ტრაპიზონის ციხის წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიის შესახებ<sup>1</sup>

*აბსტრაქტი:* სტატიაში საუბარია XVII საუკუნის დასაწყისის ფრანგი ავტორის ჟულიენ ბორდიეს ცნობაზე, რომლის მიხედვითაც ტრაპიზონის შუაგულში მოქმედებდა ქართველთა წმინდა გიორგის ეკლესია. ცნობა მოცემულია ავტორის როგორც ნარატიულ ნაწილში, ისე ქალაქის გეგმაზე. ტრაპიზონში ქართული ეკლესიის ფუნქციონირების შესწავლის საკითხი სამეცნიერო წრეებში დღემდე არ დასმულა. წინამდებარე კვლევა ერთგვარი პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით.

*საკვანძო სიტყვები:* ტრაპიზონი, შუაგულე, წმინდა გიორგი, ქართველთა ეკლესია.

ანატოლიის აღმოსავლეთში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ქალაქი, რომელზეც იმდენი დაწერილა, რამდენიც ტრაპიზონზე. თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ისტორიული ჭანეთის იგივე ლაზეთის მხარის შუა ნაწილში მდებარე ქალაქი, ფაქტობრივად, დაარსებიდანვე, აზიისა და ევროპის მაკავშირებელ ერთ-ერთ საკვანძო რგოლად იქცა. ამას მისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და სტრატეგიული მნიშვნელობა განაპირობებდა. მრავალსაუკუნოვანი წარსულის განმავლობაში ქალაქი და მისი სანახები არაერთი სახელმწიფოს ცილობის საგანიც გამხდარა. პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ რელიგიური ცხოვრება აქ მუდამ ენერგიული და ხშირად მძაფრი მიმდინარეობით გამოირჩეოდა.

---

<sup>1</sup> კვლევა წარმოებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, "ლაზეთის კვლევის ცენტრის" მიმდინარე პროექტის – "ტრაპიზონის ქართული მონასტრები" (HE-22-647) – ფარგლებში.

დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ანაც პირიქით, მიმავალი მსხვილი ვაჭრების, ელჩების, ღია თუ საიდუმლო მისიებით წარგზავნილთა გზები იშვიათად თუ აუვლიდა გვერდს ტრაპიზონს. სხვადასხვა პერიოდში და განსხვავებული მიზნებითა და დანიშნულებით მათ მიერ წარმოებული აღწერები, მოხსენებები, რელაციები ფასდაუდებელია ქალაქის ცხოვრების ამა თუ იმ მხარის შესასწავლად. ასეთ წყაროებში ტრადიციულად მჭიდრო ქართულ-ტრაპიზონული ურთიერთობების არაერთი საგულისხმო მომენტი ასახული. მათი დაწვრილებითი შესწავლა მრავალმხრივ სასარგებლო და საინტერესოა.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება სწორედ ერთი უცხოელი – ფრანგი ავტორის ცნობები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ყურადღებას გავამახვილებ აქ – ტრაპიზონში ქართველთა ეკლესიის მოქმედების შესახებ ცნობაზე.

ტრაპიზონსა და მის სანახებში ქართული ეკლესიების/მონასტრების მოქმედების ან ქართველთა მიერ ასეთ სავანეთა ფლობისა და მათი შესწავლის საკითხი სამეცნიერო წრეებში, გასაკვირია, მაგრამ დღემდე არ დასმულა. არადა ტრაპიზონში ქართული სავანის არსებობის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ X საუკუნიდან მოიპოვება (ყაუხჩიშვილი 1963: 43). მათი შესწავლის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობა ჩემთვის ერთგვარ გამოცანად რჩება. მით უფრო, რომ საქართველოს საზღვრებს მიღმა, სხვა ისტორიულ მხარეებში მოქმედი ეკლესიების/მონასტრების შესწავლა დარგის უკვე ხანგრძლივობით გამორჩეული და თავისთავად აუცილებელი, ტრადიციული მიმართულებაა. ისიც უნდა ითქვას, ერთი და იგივე საკვლევი მხარის თუ კონკრეტული ძეგლის შესასწავლად, არც თუ იშვიათად, სრულიად ერთგვაროვანი კვლევებია წარმოებული, რაც, გარკვეულწილად, ამოჩემებულობის შთაბეჭდილებასაც ტოვებს.

winamdebare statiiT, rogorc weRan vaxsene, erTi franguli wyaros cnobis warmoCena da SeZlebisdagvarad mokled ganxilva ganvizraxe. is ekuTvnis Julien bordies (Julien Bordier), რომელიც ოსმალეთის სულთან აჰმედ I-ის (მმართ.: 1603–1617) კარზე საფრანგეთის მეფე ანრი IV-ის (1589–1610) მიერ წარგზავნილი ელჩის – ჟან დე გონტოს (Jean de Gontaut) მხლებელი იყო. აღმოსავლეთში მოგზაურობისას, სხვადასხვა ადგილებთან ერთად, ის 1609 წელს ტრაპიზონსაც სწევია. მისი ხელნაწერი, Français 18076-ის ქვეშ, სახელწოდებით “Relation d'un

voyage en Orient, par Julien BORDIER, écuyer de Jean de Gontaut, baron de Salagnac<sup>2</sup>, ambassadeur à Constantinople. (1604–1612)” ინახება პარიზში, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ამ კვლევაში, დედანთან ერთად, მე ვეყრდნობი ხელნაწერიდან ტრაპიზონთან დაკავშირებულ ამონარიდს, რომელიც ტრაპიზონის მიტროპოლიტმა, შემდგომში ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოსმა ქრისანტოსმა 1934 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ Αρχαίον Πόντου-ს №6-ში (გვ. 86–158).

ჟ. ბორდიე დაწვრილებით აღწერს ტრაპიზონს – მის ისტორიას, მოსახლეობას, საქალაქო ცხოვრებას, ნაგებობებს. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ ვრცელ რელაციას ერთვის ავტორის მიერვე შედგენილი ქალაქის გეგმაც (სურ. 1) ხელნაწერის ფ. 264v-სა და ფ. 265r-ს შორის – დღემდე ცნობილ ტრაპიზონის ქალაქის გეგმებს შორის ყველაზე ძველი.

ტრაპიზონთან და ქართულ-ტრაპიზონულ ურთიერთობებთან დაკავშირებულ მის არაერთ საინტერესო ცნობათაგან ამჯერად ჩემი ყურადღება მიიპყრო ნარატიული ნაწილის მონაკვეთმა, სადაც ავტორი ქალაქის ეკლესიებზე საუბრობს და ასევე ზემოხსენებულმა გეგმამ. მკითხველს ვთავაზობ ხელნაწერის ფ. 339v-დან ამ მონაკვეთს დედნისეულ ენაზე, ქართული თარგმანითურთ:

«Par la ville y avoit anciennement plusieurs Eglises et chapelles Grecques, Romaines et Arméniennes, dont les Turcs se sont servis de mosquées, et autres ont esté démolies pour leur comodité, encor maintenant y en a il quelque une dentière, comme celle de St George, qui se voit a la lettre g, que les Géorgiens possèdent, en apsence des Catholiques romains qui l'ont fondée.»

"მთელ ქალაქში უწინ ბერძენთა, კათოლიკეთა და სომეხთა მრავალი ეკლესია და სამლოცველო იყო, რომლებსაც თურქები მეჩეთებად იყენებდნენ, ხოლო სხვები მათ დაანგრეს საკუთარ საჭიროებათა შესაბამისად. თუმცა, ზოგიერთი ჯერაც ხელუხლებლად შემორჩა, როგორცაა წმ. გიორგისა, რომელიც მონიშნულია ასო გ-თი და რომელსაც ქართველები ფლობენ, მისი დამფუძნებელი კათოლიკეებისგან მიტოვების შემდეგ."

ჟ. ბორდიე ამ მონიშვნის მითითებისას მისივე გეგმას გულისხმობს. მართლაც, ამ გეგმაზე, ქალაქის ციხის შიგნით, სხვადასხვა ასოებით მონიშნულ ობიექტებთან ერთად, ლათინური გ-

---

<sup>2</sup> საკუთრივ ხელნაწერში Salignac.

თი, რომელიც აქ "ქართულის" (Géorgien) გადმოსაცემად აქვს გამოყენებული, დატანილია საკმაოდ ვრცელი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს მას, კომპლექსი. ის შედგება ექვსი ობიექტისგან – ბაზილიკური ტაძრის, ორსართულიანი სამრეკლოს (ორივე მათგანზე ჯვრებია აღმართული), ორსართულიანი და საკმაოდ განიერი კოშისა და ცალ-ცალკე მდგარი კიდევ სამი ერთსართულიანი შენობისგან, მათგან ერთი შედარებით მომცრო (სურ. 2). ფრანგი მოგზაურის ეს საყურადღებო ცნობა მეცნიერთა მხრიდან დაწვრილებითი შესწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა. შესაბამისად, არც ამ ეკლესიის იდენტიფიცირება მოუხდენია ვინმეს. მხოლოდ ზემოხსენებული მიტროპოლიტი ქრისანთოსი, მის გამოცემაში ამ კონკრეტული ადგილის მოკლე კომენტარებისას, შენიშვნაში წერს – "სხვა წყაროებით უცნობი ეს ტაძარი ჩვენ დროში არ აშენებულა"-ო (Bordier 1934: 133, შენ. 1). მოკლედვე ეხებიან ამ ცნობას ანტონი ბრაიერი და დავიდ ვინფილდი მათ ცნობილ მონოგრაფიაში – "ბიზანტიური ძეგლები და პონტოს ტოპოგრაფია" ("The Byzantine Monuments and Topography of the Pontos"). აქ, ტრაპიზონის ეკლესიების მიმოხილვისას, 81-ედ ავტორიები აღნიშნავენ, რომ ეკლესია "მონიშნულია ბორდიეს დამაბნეველ გეგმაზე, იმ ნაწილში, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ციტადელი, ისე შუაცხე. 1609 წელს ბორდიე აცხადებდა, რომ ბაზილიკად დატანილი შენობა, ზედა რიგის სარკმლებითა და კოშკით, უწინ იყო კათოლიკური ეკლესია, თუმცა იმხანად ქართველთა ხელში. ეს წმ. გიორგიცა და ქართული ეკლესიაც სხვა მხრივ დაუმოწმებელია. როგორც ტრაპიზონულ პერიოდში ქალაქის გალავნის შიგნით კათოლიკური, ისე ოსმალურ პერიოდში ქართული (ან ზოგადად, მართლმადიდებლური) ეკლესია არსებითად არასავარაუდოა"-ო (Bryer, Winfield 1985: 225).

ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ჟ. ბორდიეს ამ ცნობასთან დაკავშირებული სხვა კომენტარი თუ ანალიზი არ არსებობს, მისი ცნობის ეკლესიის იდენტიფიცირების გარდა, მომიწევს მათში გამოთქმული მოსაზრებების განხილვა და, შესაბამისად, მსჯელობის ამგვარად წარმართვა.

ა. ბრაიერთან და დ. ვინფილდთან თითქოს სამართლიანადაა შენიშნული ბორდიეს გეგმის დამაბნეველობა (confusing). თუმცა, ამ მხრივ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ საუბარია 1600-იან წლებზე და თან ქალაქში პირველად მყოფი პირის და, ამასთან, ამ კონკრეტული საქმის არასპეციალისტის მიერ გეგმის შედგენაზე. ცხადია, მასზე შეცდომები, განსაკუთრებით ორიენტაციული ხასიათისა, მრავლად იქნება. თუმცა, მეორე მხარეა ავტორის

თხრობით-აღწერილობითი ნაწილი. ამ მხრივ კი, უდავოა, ჟ. ბორდიე ზედმიწევნითი დაწვრილებით გადმოსცემდა დეტალებს. მას საამისოდ საკმარისი დროც ჰქონდა. რაც შეეხება მისი გეგმის დამაბნეველობას, აქ ძირითადი მაინც ის გარემოებაა, რომ ფორმით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ წაგრძელებული, ორ ხეობას შორის მოქცეული ქალაქის თავისთავად მასშტაბური ციხე<sup>3</sup> ზღვის სანაპიროსთან მიმართებით ფაქტობრივად ჰორიზონტულადაა დატანილი, ნაცვლად ვერტიკალურისა. თუმცა, აქაც გააჩნია, ქალაქის რომელი ნაწილიდან აკვირდებოდა ავტორი ობიექტს.

ხსენებული მეცნიერები შენიშნავენ, რომ ქართული ეკლესიის დატანის ადგილი შეიძლება იყოს როგორც ციტადელი, ისე შუაცხე. ბორდიეს გეგმის ზედაპირული შესწავლითაც კი ნათლად ჩანს, რომ ამ ნაწილში გაურკვეველი ნამდვილად არაფერია – ციხის ციტადელი ანუ ზედაციხე (თურქ.: İçkale იგივე Yukarı Hisar; ბრაიერი-ვინფილდის №41 რუკაზე: Citadel), ფაშის რეზიდენციით (b), მისი გარნიზონით (o), მეჩეთითა (p) და ციტადელისავე ცნობილი კოშკებითა და კარიბჭეებით, ძვეს ციხის დანარჩენი ნაწილისგან გამოყოფილად, საკუთრივ ციხის გეგმაზე მარცხნივ. ციტადელის – კარის ეკლესია სხვაგვარადაა ცნობილი (იხ. Janin 1975: 258-259) და, ამასთან, ოსმალობის ხანაში აქ ხელშეუხებლად მდგარი, მოქმედი ეკლესიის არსებობა, წარმოუდგენელია.

ციტადელს, ცხადია, მოსდევს ციხის დანარჩენი ნაწილები – შუაცხე (Orta Hisar; Middle City) და ქვედაციხე (Aşağı Hisar; Lower City), რომლებიც ბორდიეს გეგმაზე გამყოფი კედლით არაა განცალკევებული. გამაგრებული ქალაქის შუა ნაწილი a ასოთია აღნიშნული. ქართველთა ეკლესია სწორედ აქ, ამ შუა ნაწილშია აღნიშნული, როგორც უკვე ზემოთ ვახსენე, ასო გ-თი. ამასთან დაკავშირებით, საორიენტაციოდ გეგმაზე დატანილი სხვა ობიექტების მოხმობა და იდენტიფიცირებაც შესაძლებელია. თუმცა, ვფიქრობ, ყოველივე თქმული სრულიად საკმარისია გადაჭრით სათქმელად, რომ ქართველთა ეკლესიად მონიშნული ობიექტი დატანილია შუაცხეში და არა ციტადელში. აღსანიშნავია ისიც, რომ ორი მხრიდან ციხის კედლებსა და ამ ეკლესიას (უფრო სწორად, კომპლექსს) შორის სხვა რამე ობიექტი გეგმაზე არაა აღნიშნული. ეს კი, გარკვეულწილად, დამატებით კიდევ იძლევა საფუძვლიანი ვარაუდის

---

<sup>3</sup> ეს სამნაწილიანი ციხე ქალაქის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსშესანიშნაობაა. მან, თუ ჩვენი დროის, ხშირ შემთხვევაში, სრულიად გაუმართლებელ ჩარევებს არ მივიღებთ მხედველობაში, საბოლოო სახე კომნიანოსურ და შემდეგ ოსმალურ ხანაში მიიღო.

შესაძლებლობას, რომ ხსენებული ორი მხრიდან ამ კომპლექსსა და გალავნებს შორის არაფერი, ან, ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ობიექტი არ იდგა.

ბორდიეს ამ გეგმის მიხედვით, ქალაქის შუაგულში, ორი მხრიდან კედლებთან უშუალოდ ან სიახლოვეს, ორსართულიანი კომპიუტურ მდგარი ეკლესიის იდენტიფიცირების მცდელობისას, ძნელად წარმოსადგენია, მკვლევარს არ მოაგონდეს სწორედ შუაგულის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ერთი მეტად საინტერესო ნაგებობა – კომკი (სურ. 3). ის დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სკოლის ეზოშია მოქცეული. მასთან დაკავშირებით რამდენიმე გარემოების აღნიშვნა მსურს: 1) ეს კომკი, კარგადაა ცნობილი, რომ სწორედ ორსართულიანი იყო. ამჟამად შემორჩენილია მისი პირველი სართულის ნაშთი; 2) რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ამ კომკში ადრე გამართული ყოფილა, არც მეტი, არც ნაკლები, სამლოცველო. ის საკმაოდ კარგადაა აღწერილი ცნობილი რუსი მეცნიერის – თეოდორ უსპენსკის ხელმძღვანელობით ჩატარებული 1916-1917 წლების რუსული ექსპედიციების დროს (Цыпкина 2021: 104-128. იხ. ასევე ამავე გამოცემას თანდართული უხვი საარქივო ფოტომასალა)<sup>4</sup>. იმხანად კომკის მეორე სართული ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა; 3) ტრაპიზონელ მკვლევართან, ქალაქის ისტორიული და თანამედროვე განაშენიანების უზადლო მცოდნე ზაფერ დურანთან ამ საკითხზე საუბრისას, მან გამოთქვა ვარაუდი, რომ კომკთან ერთად აქ ადრე ეკლესიაც უნდა მდგარიყო; 4) კომკის მიმდებარედ მოგვიანებით ოსმალური Mekteb-i Rüşdi აუშენებიათ, რომელიც დღეს ზემოხსენებული შშმ პირთა სკოლის სტატუსით ფუნქციონირებს. თუ მხედველობაში მივიღებთ უწინდელი მართლმადიდებლური საეკლესიო-საგანმანათლებლო ნაგებობათა ნაცვლად ოსმალური მეჩეთებისა და მექთებების გახსნის ერთგვარ და ცნობილ ტრადიციას, საფუძვლიანი ჩანს მოსაზრება, ძველი, დღემდე მოუღწეველი ეკლესიის ადგილი სწორედ თანამედროვე მექთები (სკოლა) იყოს. ნაეკლესიარისა თუ ნამონასტრალის ადგილას მეჩეთისა თუ მექთების (ან ორივეს ერთად) აგება მკაფიო და ხისტი იდეოლოგიური მანიფესტაცია იყო – წარმოადგენდა ქრისტიანობაზე ისლამის თითქოსდა გამარჯვების გამოხატულებას. ასევე, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ამ ახალი ნაგებობისთვის გამოიყენებოდა ძველის ნაშალი მასალა. საამისო მაგალითების მოხმობით მკითხველის თავის შეწყენა, ვფიქრობ, არ ღირს. აქვე აუცილებლად დასაძენი ისიც, რომ ამ ადგილას საგულელებელი ეკლესიის მეჩეთად

---

<sup>4</sup> რუსულ ლიტერატურაში მას „სასახლის ეკლესია“ (Дворцовая церковь) ეწოდება.

საკუთრივ გადაკეთების – მასში მეჩეთის გახსნის ცნობები არაა შემორჩენილი, არც დოკუმენტურად და არც ზეპირ. ეს კი მეცნიერს უბიძგებს აქ საგულვეტელი ეკლესიის შენობის დანგრევაზე მოსაზრების განვითარებისკენ, ცხადია, მისი გაუკაცრიელებისა და უფუნქციოდ დარჩენის შემდეგ. დამატებით ისიც ითქმის, რომ აუცილებელი არაა, კომპლექსი ეკლესიის ფუნქცია ამ უკანასკნელის დანგრევის შემდეგ შეეთავსებინა. რუსული ექსპედიციის მასალებიდან ირკვევა, რომ აქ იმხანად ჯერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი კტიტორული ფრესკები (Цыпкина 2021: 21, შენ. 48; 105, 113). ეს კი უპირობოდ მეტყველებს, ეკლესიის პარალელურად, ამ კომპლექსის სამლოცველოდ აქტიურ გამოყენებაზე. შორს რომ არ წავიდე, ტრაპიზონისავე მაგალითზე – ეკლესიის მიმდებარედ აღმართული კომპლექსის სამლოცველოდ გამოყენების ცნობილი შემთხვევაა სოფიაწმინდის (Ayasofya) კომპლექსი<sup>5</sup>.

ქ. ბორდიეს ცნობაში ა. ბრაიერისა და დ. ვინფილდის დაეჭვების საფუძველი, მათი თქმით, წმ. გიორგის ამ ეკლესიისა თუ, ზოგადად, ქართული ეკლესიის ტრაპიზონში სხვა მხრივ დაუმოწმებლობაა. ტრაპიზონისკენ ქართული სავანის ფუნქციონირება, როგორც შესავალ სიტყვაში ვახსენე, ჯერ კიდევ X საუკუნეში მოწმდება. ამას გარდა, გვაქვს საყურადღებო ცნობები ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნიდან. კერძოდ, 162-ე და 164-ე ალაპებში საუბარია მათი განწესების შესახებ მესხეთის მთავრის ყვარყვარე II ჯაყელისა (მმართ.: 1451-1498), მისი ვაჟების, მომდევნო მთავრების – ქაიხოსროსა (1498-1500) და შიხაბუკისთვის (1500-1516) და ასევე მათი ძმის – ბაადურისთვის (მეტრეველი 1998: 184-187; 265). სამცხის სამთავრო კარს, ამ ალაპების მიხედვით, უხვი შესაწირავი გაუცია ტრაპიზონიდან კონსტანტინოპოლამდე და წმინდა მთამდე (ათონამდე) არსებული ქართული სავანებისთვის<sup>6</sup>. სამწუხაროდ, მათში სახელობითად არაა ნახსენები ეს სავანეები და, ამასთან, არც ქრონოლოგიური და ფაქტობრივი გარემოებები იძლევა ბორდიეს ცნობის ეკლესიასთან მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. თუმცა, თავად ცნობები ტრაპიზონსა და მის სანახებში ქართველთა მიერ სხვადასხვა დროს საეკლესიო ცენტრების ფლობაზე წყაროებში, ირკვევა, რომ ალაგურად, მაგრამ მაინც შემორჩენილია.

<sup>5</sup> დ. ტალბოტ რაისი საუბრობს კიდევ ერთ, კომნიანოსურ პერიოდში უფუნქციოდ დარჩენილ კომპლექსზე, ამჯერად ციტადელში, სადაც ამ უფუნქციობის გამო მოგვიანოდ სამლოცველო გაუმართავთ (Talbot Rice 1932: 50-52).

<sup>6</sup> არაფერს ვიტყვი შემდგომი პერიოდის (XVIII-XX ს. დასაწყისის) ავტორთა ცნობებზე ტრაპიზონში ქართული სავანეების მოქმედების შესახებ. მათზე მოგვიანოდ ვრცლად ვისაუბრებ.

საყურადღებო ჩანს ქართველთა წმ. გიორგის ეკლესიის საგულეზელი არეალიდან დაახლ. 70-80 მეტრის დაშორებით მდებარე და ციტადელისა და შუაცხის დამაკავშირებელი და ლიმნიელთა წმინდა გიორგის სახელობისად ცნობილი კარიბჭის ეს სახელიც. თავად ხსენებული ავტორები, ისევე როგორც რაიმონდ ჟანენი, ამ კარიბჭის სახელს სავარაუდოდ ეკლესიისგან / სამლოცველოსგან მიღებულად მიიჩნევენ (Bryer, Winfield 1985: 225; Janin 1975: 261) . ბორდიეს ცნობის ეკლესიასთან (თუ კომპლექსთან) მისი კავშირის შესაძლებლობა ამ ავტორებს არ განუხილავთ. ისევ და ისევ წყაროების სიმწირის გამო და, მეორე მხრივ, ადგილზე სპეციალური სამუშაოების ჩატარების გარეშე, გადაჭრით რამის თქმა დღეისთვის შეუძლებელია. თუმცა, ვერსია, ვფიქრობ, დასამუშავებლად საგულისხმოა.

სხვა მხრივ, ბორდიეს მიერ მონიშნული წმ. გიორგის ეკლესიის დღეისთვის ცნობილ წყაროებში ასე სახელობითად მოუხსენიებლობა მაინცდამაინც მყარი არგუმენტი ვერაა აქ ოდესღაც ეკლესიის არსებობის უარსაყოფად.

ასევე შეუწყნარებელი და გაუგებარია, ბორდიეს ცნობაზე დაყრდნობით, ხსენებულ მეცნიერთა დასკვნა, რომ წმ. გიორგის ეკლესია კათოლიკეებს თითქოსდა მაინცდამაინც ტრაპიზონულ პერიოდში სჭერიათ. ტრაპიზონულ პერიოდში ისინი, რასაკვირველია, 1204-1461 წლებს გულისხმობენ, როდესაც ქალაქი კომნიანოსთა საგვარეულოთი სათავეში, თბილისის სამეფო კარის მიერ დაარსებული იმპერიის დედაქალაქი იყო. თუმცა კი, თავად ჟ. ბორდიესთან საკუთრივ ასეთი ან ამ დასკვნისთვის გამოსადეგი ცნობა არ მოიპოვება. მათ მიერ ბორდიესთვის მიწერილ ამ ცნობას შემდეგ თავადვე მცდარად უთვლიან ფრანგ ავტორს და დამატებით ასკვნიან, რომ "კათოლიკური ეკლესია ტრაპიზონული პერიოდის გამაგრებული ქალაქის კედლებს შიგნით" (A Roman Catholic church within the walled city in Trapezuntine times) არისო "არსებითად არასარწმუნო" (inherently unlikely). ჟულიენ ბორდიეს მათი ასეთი დასკვნისთვის საფუძველი არ მიუცია. ჩემი მხრით დავძენ, რომ წმინდა გიორგის ეკლესიაში კათოლიკეთა დაფუძნება სწორედ კომნიანოსური ტრაპიზონის დაცემის შემდეგ – ქალაქის ოსმალთა ხელში გადასვლის დროიდანაა ლოგიკურად სავარაუდებელი. მართლაც, 1461 წლიდან მოყოლებული, მაქსიმალურად ქვედა ზღვარი რომ ავიღოთ, ჟ. ბორდიეს ქალაქში სტუმრობამდე – 1600-იანი წლების დასაწყისამდე პერიოდი საკმაოდ დიდი დროა კათოლიკეთა მიერ ამ ეკლესიაში დასაფუძნებლად.



მომდევნო საფუძველი, რაც მეცნიერთა მიერ, ამჯერად ქართული (და ზოგადად, მართლმადიდებლური) ეკლესიის არსებობას გამორიცხავს ქალაქის გამაგრებულ ნაწილში, არის ქალაქის ფლობა ოსმალთა მიერ. მიჩნეულია, რომ 1461 წლიდან ოსმალებმა ქრისტიანულ მოსახლეობას აუკრძალეს ქალაქის კედლებს შიგნით ცხოვრება. ამის საწინააღმდეგოდ, ოსმალური დავთრების შესწავლით ირკვევა, რომ სწორედ შუაგის უბანი (Mahalle-i Meso Kastro / Kastori; ბერძნულიდან: Meso „შუა“, Kastro „ციხე“) იყო ერთადერთი ქრისტიანული (მართლმადიდებლური) უბანი ქალაქის ციხის შიგნით (Bostan 2002: 151; Lowry 2009: 47; 56). ის პირველად 1486 წლის დავთარში ჩნდება 88 კომლით (Bostan 2002: 151). 1523 წელს აქ 225 მართლმადიდებელი მცხოვრებია აღრიცხული (Lowry 2009: 69). მართალია, 1553 წლისთვის მათი აქ ცხოვრება უკვე არ ჩანს, რაც, ივარაუდება, რომ მათი გასახლებით უნდა იყოს გამოწვეული (იქვე: 116), მაგრამ მანამდე თავად ფაქტის – სიმაგრის, ამ შემთხვევაში შუაგის შიგნით მართლმადიდებელი მრევლის და სულაც უბნის არსებობა მხარს უფრო ჟ. ბორდიეს ჩვენებას უჭერს, ვიდრე ა. ბრაიერისა და დ. ვინფილდის დაახლოებით 4 საუკუნის შემდგომდროინდელ ვარაუდებს.

აქ ეკლესიის არსებობისა და ქართველთა მიერ მისი ფლობის შემთხვევაში, ისმის კითხვა, ვინ შეიძლება ყოფილიყო მისი მრევლი? იყო თუ არა ქალაქში ქართული ქრისტიანული თემი? საამისო პასუხი იქვე თვითმხილველი ბორდიეს ცნობებში მოიპოვება. ის ქალაქის მოსახლეთა შორის ხშირად ასახელებს ქართველებს (Géorgiens და Mangreliens), მათ შორის იქვე, წმ. გიორგის ქართული ეკლესიის ხსენებისას (Bordier 1934: 133). შეიძლება წამოიჭრას საპირისპირო კითხვა – ასეთ შემთხვევაში რატომ არაა ქართული თემი (Gürcü Cemaat) ნახსენები ოსმალური წყაროებით. პასუხი ისევ და ისევ ოსმალურ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ – ე.წ. მილეთის პოლიტიკის მიხედვით, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, მიეკუთვნებოდა Millet-i Rûm-s “romael xalxs” da amgvaradve aRiricxeboda Sesabamis osmalur dokumentebSi.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება – სწორედ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ ჭანეთიდან ოსმალურმა ადმინისტრაციამ საბოლოოდ გააძევა ოფისა [და ალანის] იგივე სატრაპელის ქართული კათედრის მეთაური მიტროპოლიტი გერმანე (ანდრიაძე 2012: 73-93; გოგობია 2017: 129), რითაც ჭანეთში ქართულ ეკლესიას უკვე ოფიციალურად ამოეკვეთა ფეხი. ჩანაცვლებით კი ის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს

დაქვემდებარებულმა ბერძნულმა სამღვდელთა ჩაანაცვლა, რომელიც აქ 1923 წლამდე – "პონტოური ტრაგედიის" სახელით ცნობილ მოვლენებამდე აქტიურად საქმიანობდა.

ყოველივე თქმულის შემდეგ მოკლედ შეიძლება დავასკვნათ: ჟ. ბორდიეს ცნობის მიხედვით, ტრაპიზონის შუაგულში 1609 წლისთვის ქართველები ფლობდნენ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. უცნობია, თუ როდის უნდა გადასულიყო ეს სავანე ქართველთა ხელში, თუმცა, ეს უნდა მომხდარიყო 1461 წლის შემდეგ. ამ წელს ქალაქი ოსმალებმა დაიკავეს და გააუქმეს ტრაპიზონის იმპერია. ეკლესიას ჯერ კათოლიკეები დაუფლებიან. 1600-იანი წლების დასაწყისში სავანე უკვე ქართველთა ხელში ჩანს, რაც, უნდა ვიფიქროს, უკვე საკმაოდ დიდი ხნის ამბავია. როდის დაკარგეს ქართველმა ეკლესია და როდის შეწყვიტა მან მოქმედება, ცხადია, ბორდიეს ცნობის ამარა, ვერ დაისკვნება, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო 1750-იან წლებამდე პერიოდში. ამ დროს ტრაპიზონში მყოფი და იმხანად უკვე მთავარეპისკოპოსი ტიმოთე (გაბაშვილი; 1703-1764) აქ ქართველთა სავანეს მის "მიმოსღვაში" აღარ ახსენებს.

#### **წყაროები და ლიტერატურა:**

**ანდრიაძე 2012** – გიორგი ანდრიაძე, "უცნობი ისტორიული საქართველო (ქრისტიანული ლაზეთი)", თბილისი, 2012

**გოგობია 2017** – ბაკურ გოგობია, "ლაზური გვარსახელები (ლაზური ანთროპონიმის საკითხები)", თბილისი, 2017

**მეტრეველი 1998** – ელენე მეტრეველი, "ათონის ქართველთა მონასტრის სარაპე წიგნი", თბილისი, 1998

**ყაუხჩიშვილი 1963** – სიმონ ყაუხჩიშვილი, "გეორგიკა – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ", ტ. 5, თბილისი, 1963

**Bordier 1934** – Julien Bordier, "Relation d'un voyage en Orient, par Julien Bordier, écuyer de Jean de Gontaut, baron de Salignac, ambassadeur à Constantinople. (1604-1612)", Αρχαίον Πόντου, том. 6, Αθήνα, 1934

**Bostan 2002** – M. Hanefi Bostan, “XV – XVI. Asırlarda Trabzon Sancağında Sosyal ve İktisadı Hayat”, Trabzon, 2002

**Bryer, Winfield 1985** – Anthony Bryer, David Winfield, “The Byzantine Monuments and Topography of the Pontos”, Vol. I, Washington, D.C., 1985

**Janin 1975** – Raymond Janin, “Les Églises et les Monastères des Grands Centres Byzantins: Bithynie, Hellespont, Latros, Galèsios, Trébizonde, Athènes, Thessalonique”, Paris, 1975

**Lowry 2009** – Heath Lowry, “The Islamization and Turkification of the City of Trabzon (Trebizond), 1461-1583”, İstanbul, 2009

**Talbot Rice 1932** – David Talbot Rice, “Trebizond, a Mediaeval Citadeland Palace”, The Journal of Hellenic Studies, Vol. LII, London, 1932

**Цыпкина 2021** – Анна Цыпкина, “Русские научные экспедиции в Трапезунд (1916, 1917 гг.)”, Санкт-Петербург, 2021